

შპს “MAGNIUM +”

ფინანსური ანგარიშგება

*2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2-4

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	9
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	17
4. ძირითადი საშუალებები	18
5. არამატერიალური აქტივები	19
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	19
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
9. კაპიტალი	20
10. მიღებული სესხები	20
11. საიჯარო ვალდებულება	21
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
13. საოპერაციო შემოსავალი	21
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	21
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	22
16. სხვა შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	22
17. ფინანსური ხარჯი	22
18. ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა	22
19. მოგების გადასახადის ხარჯი	22
20. ფინანსური რისკების მართვა	23
21. დაკავშირებული მხარეები	26
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „MAGNIUM +“-ის მფლობელსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „MAGNIUM +“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავგნიშნეს 2019 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, შესაბამისად ჩვენ ვერ დავაკვირდით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციას წლის დასაწყისში და წლის ბოლოს. ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა რწმუნება 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების ოდენობის სისწორეზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 11,863,714 ლარით (2018 წლის 31 დეკემბერი: 7,087,949 ლარი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ თუ აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, ასევე სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის მოძრაობისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნიდან გამომდინარე. თუ, სხვა ინფორმაციასთან მიმართებით ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღმოვაჩინეთ, რომ მმართველობის ანგარიშგება არსებითად მცდარია, ჩვენ მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „MAGNIUM +“-ის მფლობელსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „MAGNIUM +“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დაგვნიშნეს 2019 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, შესაბამისად ჩვენ ვერ დავაკვირდით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციას წლის დასაწყისში და წლის ბოლოს. ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა რწმუნება 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების ოდენობის სისწორეზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 11,863,714 ლარით (2018 წლის 31 დეკემბერი: 7,087,949 ლარი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ თუ აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, ასევე სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის მოძრაობისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელი ნოტმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნიდან გამომდინარე. თუ, სხვა ინფორმაციასთან მიმართებით ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღმოვაჩენთ, რომ მმართველობის ანგარიშგება არსებითად მცდარია, ჩვენ მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხედენილია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხედენილია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავვეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თივის“ სახელით

30 ნოემბერი, 2020

თბილისი, საქართველო



Closer to you

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევლება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თივის“ სახელით

30 ნოემბერი, 2020

თბილისი, საქართველო

შპს "MAGNIUM +
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	3,009,131	2,611,095	1,374,761
არამატერიალური აქტივები	5	73,184	15,121	15,523
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,082,315	2,626,216	1,390,284
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	11,863,714	7,087,949	5,528,864
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	4,575,513	3,933,228	1,697,486
ფული და ფულის კვეცივალენტები	8	379,332	600,747	274,909
სულ მიმდინარე აქტივები		16,818,559	11,621,924	7,501,259
სულ აქტივები		19,900,874	14,248,140	8,891,543
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	8,830	8,830	156,084
გაუნაწილებელი მოგება	9	13,778,700	8,813,243	5,335,863
სულ კაპიტალი		13,787,530	8,822,073	5,491,947
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	1,816,519	1,839,077	1,802,405
იჯარიდან ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი	11	80,577	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,897,096	1,839,077	1,802,405
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	10	2,420,174	2,179,781	425,372
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,775,894	1,407,209	1,171,819
იჯარიდან ვალდებულებების მოკლევადიანი ნაწილი	11	20,180	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,216,248	3,586,990	1,597,191
სულ ვალდებულებები		6,113,344	5,426,067	3,399,596
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		19,900,874	14,248,140	8,891,543

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 ნოემბერს.

დირექტორი
თამაზ ფიროსმანაშვილი



შპს "MAGNIUM +
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	3,009,131	2,611,095	1,374,761
არამატერიალური აქტივები	5	73,184	15,121	15,523
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,082,315	2,626,216	1,390,284
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	11,863,714	7,087,949	5,528,864
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	4,575,513	3,933,228	1,697,486
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	379,332	600,747	274,909
სულ მიმდინარე აქტივები		16,818,559	11,621,924	7,501,259
სულ აქტივები		19,900,874	14,248,140	8,891,543
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	8,830	8,830	156,084
გაუნაწილებელი მოგება	9	13,778,700	8,813,243	5,335,863
სულ კაპიტალი		13,787,530	8,822,073	5,491,947
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	1,816,519	1,839,077	1,802,405
იჯარიდან ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი	11	80,577	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,897,096	1,839,077	1,802,405
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	10	2,420,174	2,179,781	425,372
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,775,894	1,407,209	1,171,819
იჯარიდან ვალდებულებების მოკლევადიანი ნაწილი	11	20,180	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,216,248	3,586,990	1,597,191
სულ ვალდებულებები		6,113,344	5,426,067	3,399,596
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		19,900,874	14,248,140	8,891,543

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 ნოემბერს.

დირექტორი
თამაზ ფიროსმანაშვილი

შპს "MAGNIUM +
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო შემოსავალი			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	32,078,473	21,599,169
საერთო მოგება	14	(24,142,139)	(15,834,982)
		7,936,334	5,764,187
სადისტრიბუციო ხარჯები		(103,624)	(136,725)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(2,051,325)	(1,605,964)
სხვა შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	15	569,204	-
ფინანსური ხარჯი	16	(292,308)	(187,154)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	17	(492,036)	(235,912)
მოგება დაბეგვრამდე	18	5,566,245	3,598,432
მოგების გადასახადის ხარჯი	19	-	-
წლის წმინდა მოგება		5,566,245	3,598,432
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		5,566,245	3,598,432

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 ნოემბერს.

დირექტორი
თამაზ ფიროსმანაშვილი



შპს "MAGNIUM +
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო შემოსავალი	13	32,078,473	21,599,169
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(24,142,139)	(15,834,982)
საერთო მოგება		7,936,334	5,764,187
სადისტრიბუციო ხარჯები		(103,624)	(136,725)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(2,051,325)	(1,605,964)
სხვა შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	16	569,204	-
ფინანსური ხარჯი	17	(292,308)	(187,154)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	18	(492,036)	(235,912)
მოგება დაბეგვრამდე		5,566,245	3,598,432
მოგების გადასახადის ხარჯი	19	-	-
წლის წმინდა მოგება		5,566,245	3,598,432
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		5,566,245	3,598,432

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 ნოემბერს.

დირექტორი
თამაზ ფიროსმანაშვილი

შპს "MAGNIUM +
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 9)	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	156,084	5,335,863	5,491,947
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,598,432	3,598,432
გამოცხადებული დივიდენდი (შენიშვნა 9)	-	(121,052)	(121,052)
კაპიტალის შემცირება	(147,254)	-	(147,254)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,830	8,813,243	8,822,073
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	5,566,245	5,566,245
გამოცხადებული დივიდენდი (შენიშვნა 9)	-	(600,788)	(600,788)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,830	13,778,700	13,787,530

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 ნოემბერს.

დირექტორი
თამაზ ფიროსმანაშვილი



შპს "MAGNIUM +
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 9)	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	156,084	5,335,863	5,491,947
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,598,432	3,598,432
გამოცხადებული დივიდენდი (შენიშვნა 9)	-	(121,052)	(121,052)
კაპიტალის შემცირება	(147,254)	-	(147,254)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,830	8,813,243	8,822,073
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	5,566,245	5,566,245
გამოცხადებული დივიდენდი (შენიშვნა 9)	-	(600,788)	(600,788)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,830	13,778,700	13,787,530

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 ნოემბერს.

დირექტორი
თამაზ ფიროსმანაშვილი

შპს "MAGNIUM +
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრდამდე კორექტირებები:	5,566,245	3,598,432
- ცვეთა და ამორტიზაცია	133,360	51,931
- საპროცენტო ხარჯი, წმინდა	280,184	182,579
- გაუფასურების ზარალი	355,977	264,660
- მოგება ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(8,450)	-
- მოგება(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან	492,036	235,912
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)	946,821	(2,498,738)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემცირება/(ზრდა)	(4,775,765)	(1,559,085)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	46,368	349,325
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი ნაკადები პროცენტამდე	1,143,134	625,016
გადახდილი პროცენტი	276,066	(190,752)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	867,068	434,264
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალებების გასვლა ძირითადი საშუალებების შეძენა	26,000	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(420,293)	(1,284,824)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(59,578)	(3,390)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან სესხების მიღება	4,519,889	3,933,248
მიღებული სესხების დაფარვა	(4,476,692)	(2,333,455)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(72,212)	(63,114)
გადახდილი დივიდენდები	(600,788)	(121,052)
კაპიტალის შემცირება	-	(147,254)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საფინანსო საქმიანობიდან	(629,803)	1,268,373
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა შემცირება/(ზრდა)	(216,606)	414,423
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად საშუალებებსა და მის ეკვივალენტებზე	(4,809)	(88,583)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	600,747	274,909
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	379,332	600,747

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 ნოემბერს.

დირექტორი
თამაზ ფიროსმანაშვილი



შპს "MAGNIUM +
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრდამდე	5,566,245	3,598,432
კორექტირებები:		
- ცვეთა და ამორტიზაცია	133,360	51,931
- საპროცენტო ხარჯი, წმინდა	280,184	182,579
- გაუფასურების ზარალი	355,977	264,660
- მოგება ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(8,450)	-
- მოგება(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან	492,036	235,912
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)	946,821	(2,498,738)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემცირება/(ზრდა)	(4,775,765)	(1,559,085)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	46,368	349,325
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი ნაკადები პროცენტამდე	1,143,134	625,016
გადახდილი პროცენტი	276,066	(190,752)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	867,068	434,264
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გასვლა	26,000	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(420,293)	(1,284,824)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(59,578)	(3,390)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(453,871)	(1,288,214)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების მიღება	4,519,889	3,933,248
მიღებული სესხების დაფარვა	(4,476,692)	(2,333,455)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(72,212)	(63,114)
გადახდილი დივიდენდები	(600,788)	(121,052)
კაპიტალის შემცირება	-	(147,254)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საფინანსო საქმიანობიდან	(629,803)	1,268,373
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა შემცირება/(ზრდა)	(216,606)	414,423
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად საშუალებებსა და მის ეკვივალენტებზე	(4,809)	(88,583)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	600,747	274,909
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	379,332	600,747

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 ნოემბერს.

დირექტორი
თამაზ ფიროსმანაშვილი

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „MAGNIUM +“ („კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საიდენტიფიკაციო ნომრით 400019494.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: გათბობა, გაგრილება, ვენტილაციის სისტემების (HVAC) შესყიდვა-რეალიზაცია საქართველოში და საზღვარგარეთ.

კომპანიის იურიდიული მისამართია ისნის რაიონი, ვაჟისუბანი III მ/რ, I კვ, კორპ № 6, ბ. 18, თბილისი, საქართველო.

კომპანიის დირექტორი და 100% წილის მფლობელი არის თამაზ ფიროსმანაშვილი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ზასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის რეალურ ღირებულებაზე.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინა წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იყო ადგილობრივი ბუღალტრული პრინციპების გამოყენებით. ეს არის პირველი წელი, როდესაც კომპანია ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება ფასს-ს, მოქმედს 2019 წლის 31 დეკემბრის ან შემდეგ დასრულებული პერიოდისთვის, 2018 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად. ამ ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც კომპანიისთვის წარმოადგენს ფასს-ზე გადასვლის თარიღს.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც, ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეკვი დაზალოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როგორც ეს 22-ე შენიშვნაშია მოცემული, 2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ფაზრებზე. თუმცა ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის აღნიშნულ ვირუსს მნიშვნელოვანი უარყოფითი პირდაპირი ეფექტი არ ჰქონია უშუალოდ კომპანიაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე და საქმიანობა გაგრძელდება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

2.2. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანია იყენებს ყველა შესაბამის სტანდარტს და ინტერპრეტაციას, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტი, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის.

სხვა მრავალი შესწორება და ინტერპრეტაცია შევიდა ძალაში პირველად 2019 წელს, თუმცა გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი სტანდარტების გამოყენება

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 ანაცვლებს ბასს 17-ს „იჯარა“ და შემდეგ სამ ინტერპრეტაციას: ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ფასს 16-ის მიხედვით მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარად. არსებობს აღიარების გამოწვევები მოკლევადიანი იჯარებისთვის (იჯარა რომლის ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის.

ახალი სტანდარტი დაინერგა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით; კომპანია ფასს 16-ის გამოყენების კუმულაციურ კორექტირებას საწყის ბალანსზე აღიარებს წინა პერიოდის შესადარისი მონაცემების გადაანგარიშების გარეშე.

სტანდარტის დანერგვის თარიღისთვის გაფორმებული საოფისე სართის ხელშეკრულებებისთვის, კომპანიამ არჩია გამოეყენებინა ბასს 17-ით და ფასიკ 4-ით მოცემული იჯარის განმარტება და არ მიუსადაგა ფასს 16 იმ ხელშეკრულებებს რომლებიც არ იყო იდენტიფიცირებული, როგორც იჯარა, ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის მიხედვით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია არ ითვალისწინებს თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოყენების უფლების შეფასებისას ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის, კერძოდ, 2019 წლის 1 იანვარს. კომპანია იჯარებზე ასევე აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რომელიც კორექტირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იჯარასთან დაკავშირებული ყველა წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადების თანხით.

სტანდარტის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებაზე განხილვის ნაცვლად მოიჯარემ ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით გააანალიზა იყო თუ არა იჯარა ზარალიანი სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე.

იმ იჯარისთვის, რომელიც წინათ კლასიფიცირებული იყო, როგორც ფინანსური იჯარა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოყენებით შეფასებამდე.

ფასს 16-ზე გადასვლისას, მოიჯარის ზღვრული საშუალო შეწონილი სასესხო განაკვეთი შეადგენს 7.8%-ს.

კომპანიამ გამოიყენა წარსული გამოცდილება იჯარის ვადის განსაზღვრისას, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის მოლოდინების შეფასებისას.

2.3. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი.

საქონლის რეალიზაციით შემოსავალი აღიარდება, როცა ხდება კლიენტისთვის საქონლის მიწოდება და საკუთრების უფლების გადაცემა. შემოსავალი არის საქონლის საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალურ ღირებულებას გამოვლენული უკან დაბრუნებები, სავაჭრო ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (მაგალითად დღგ).

2.4. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების, გარდა შენობებისა, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოვლენით. შენობები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ რეალურ ღირებულებას გადაფასების თარიღში მიწუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარულობით, რათა ნარჩენი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს რეალური ღირებულებისგან საანგარიშგებო თარიღში.

თუ აქტივის ნარჩენი ღირებულება გაზრდილია გადაფასების შედეგად, ეს ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება კაპიტალში გადაფასების რეზერვის სახელწოდებით. მაგრამ აღნიშნული ზრდა (არაუმეტეს ადრე აღიარებული შემცირებისა) აღიარდება მოგება-ზარალში თუ ამ ზრდამდე ადგილი ჰქონდა შემცირებას (ჩამოფასებას), რაც წინა პერიოდებში აღიარებული იყო მოგება-ზარალში.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	30
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10
სატრანსპორტო საშუალებები	10
ოფისის აღჭურვილობა	5-7
სხვა	5
მიწა	არ იცვითება

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.5. იჯარა

იჯარის დაწყების დღეს, საიჯარო ვალდებულება იზომება მომავალი საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით. აქტივების გამოყენების უფლების თავდაპირველი აღიარება ხდება საიჯარო ვალდებულების სიდიდით, იზრდება რომელიმე ადრე განხორციელებული საიჯარო გადასახდელით (მიღებული საიჯარო შეღავათების გამოკლებით), კომპანიის მიერ გაწეული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯებით და კომპანიის მიერ განხორციელებული დემონტაჟისა და აღდგენის ხარჯების შეფასებით.

საიჯარო გადასახადები განაწილებულია ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალში, თუ ისინი პირდაპირ არ მიეკუთვნება განსაკუთრებულ აქტივებს, რა შემთხვევაშიც ხდება მათი კაპიტალიზაცია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების თაობაზე კომპანიის ძირითადი პოლიტიკის შესაბამისად. პირობითი საიჯარო გადასახადები, რომლებიც წარმოიშობა ფინანსური იჯარის პირობებში, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდებში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

საიჯარო გადასახადი, რომლებიც არ არის დაკავშირებული აქტივის გამოყენების უფლებასთან, აღიარდება ხარჯად წრფივ მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. პირობითი იჯარის გადასახადები, რომლებიც წარმოიშობა ამგვარი იჯარის საფუძველზე, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდებში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

მოკლევადიანი იჯარები (საიჯარო ვადა 12 თვე ან ნაკლები) და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა, აღიარებულია საიჯარო ხარჯებში წრფივი მეთოდის გამოყენებით ფასს 16-ის შესაბამისად. ნებისმიერი მოგება/(ზარალი), რომელიც წარმოიშობა საიჯარო კონტრაქტების გაუქმების ან შეცვლის შედეგად, მიეკუთვნება მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კატეგორიას.

2.6. არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის ხარჯი ერიცხება არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში (5 წელი) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ მსგავსი მომსახურების ვადა უსასრულო არ არის. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

2.7. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და რეალურ ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოღინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

მომველებული მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

2.9 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო, მეორე მხრივ, მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (OCI) და რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის კომპანიისეულ ბიზნეს-მოდელებზე. იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ ქმედებებს იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი რეალური ღირებულებით, რასაც ემატება ტრანზაქციების ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის რეალური ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ ქმედებებს მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული ტრანზაქციის ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI)“ დაუფარავ ძირ თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები
- კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავებით (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავების გარეშე (წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტები)
- მოგება-ზარალში ასახული, რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე რელევანტურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს იმ შემთხვევაში, თუ ორივე ქვემოთ მითითებული პირობა დაკმაყოფილდება:

- ფინანსური აქტივის ფლობისთვის შერჩეულია ისეთი ბიზნეს-მოდელი, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (ესგ) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება მისი მოდიფიცირება ან გაუფასურება. კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მისაღები თანხები. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია), ისინი კლასიფიცირდება მიმდინარე აქტივებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი წარდგენა ხდება გრძელვადიან აქტივებად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების თავდაპირველი შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოწურულია; ან
- კომპანიამ გაასხვისა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან იკისრა ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ფულადი ნაკადების მესამე პირისთვის სრულად, არსებითი დაგვიანების გარეშე გადახდის ვალდებულება, ვალდებულების გადაკისრების შეთანხმების ფარგლებში; და ან (ა) კომპანიამ გაასხვისა აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ან (ბ) კომპანიას არც გასხვისებისა და არც ინარჩუნების აქტივის არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, თუმცა გასხვისებული აქვს კონტროლი აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) ანარიცხს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში. მსზ ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, დისკონტირებულს თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებითი მნიშვნელობით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს უზრუნველყოფის საგნის ან კრედიტის სხვა საგარანტიო საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულად ნაკადებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მსზ-ს აღიარება ხდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მსზ იქმნება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია დადგეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება საკრედიტო პოზიციის დარჩენილი არსებობის

მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, დეფოლტის ხანგრძლივობის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის ანარიცხს, რომელიც ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები საჭიროებისამებრ კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ასახული მოგება-ზარალში, სესხები, კრედიტორული დავალიანები, ან როგორც წარმოებული ჰეჯირების ინსტრუმენტი. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და ვალდებულებების შემთხვევაში, უშუალოდ მიკუთვნებადი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და კრედიტორულ დავალიანებებს და სესხებს, საბანკო ოვერდრაფტების ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, ქვემოთ აღწერილის შესაბამისად:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვაზე მიღებული ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯი. აღნიშნული კატეგორია გამოიყენება ძირითადად პროცენტის სესხების შემთხვევაში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, გაუქმება ან ამოიწურება მოქმედების ვადა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება იგივე გამსესხებლის მიერ ჩანაცვლდება მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან მოხდება არსებული ვალდებულებების არსებითი მოდიფიკაცია, მსგავსი ჩანაცვლება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

2.11. ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

2.12. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ბასს 23-ით განსაზღვრული განსაკუთრებული აქტივის შეძენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან, აისახება ამ აქტივის თვითღირებულებაში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯის სახით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.13. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ₾), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	USD / ₾	EUR / ₾
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.87	3.21
საშუალო გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	2.82	3.16
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.68	3.07
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	2.53	2.99
გაცვლითი კურსი 2018 წლის 1 იანვარს	2.59	3.10

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.15. მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი კომპანიების მიერ მიღებული წლიური მოგება გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, მოგების გადასახადით არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში განაწილებულ თანხაზე (1/85%*15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. კომპანიის მფლობელებზე გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით ხდება, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

2.15. ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

2.16. წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან რომელიც თავად კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი წინასწარი გადახდები აღიარდება, როგორ ძირითადი საშუალება მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში როდესაც ხდება იმ საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარი გადახდებთან. თუ არის რაიმე სახის ეჭვი, რომ საქონელი, მომსახურება ან ძირითადი საშუალება არ იქნება მიღებული, რომლისთვისაც გამოწვეულია წინასწარი ხარჯი, ამ შემთხვევაში ხდება წინასწარ გაწეული ხარჯების ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან შეფასებებს და დაშვებებს კომპანიის სამომავლო ფუნქციონირებაზე. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელობანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება "შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების" (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. როგორც მე-7 შენიშვნაში არის ნაჩვენები, მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით შეადგენს 1,468,628 ლარს, 1,112,651 ლარსა და 847,991 ლარს, შესაბამისად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს, როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ძირითადი საშუალებები

ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	აქტივის გამოყენების უფლება(ოფისი)	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
1 იანვარი 2018	453,113	670,698	145,772	23,033	40,067	113,650	-	7,674	1,454,006
შეძენა	630,742	266,260	209,502	11,944	30,105	135,326	-	946	1,284,824
ტრანსფერი	-	354,273	(354,273)	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	(352)	(352)
31 დეკემბერი 2018	1,083,855	1,291,231	1,000	34,976	70,172	248,976	-	8,268	2,738,478
შეძენა / ზრდა	-	28,723	201,499	106,344	25,405	26,555	120,284	31,767	540,577
ტრანსფერი	-	202,499	(202,499)	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	(32,400)	-	-	(32,400)
31 დეკემბერი 2019	1,083,855	1,522,452	-	141,321	95,577	243,131	120,284	40,035	3,246,655
დაგროვილი ცვეთა									
1 იანვარი 2018	-	18,997	-	8,753	12,392	38,162	-	941	79,245
ცვეთა	-	22,357	-	4,017	4,056	16,638	-	1,130	48,198
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	(60)	(60)
31 დეკემბერი 2018	-	41,354	-	12,770	16,448	54,800	-	2,011	127,383
ცვეთა	-	48,183	-	14,608	10,490	24,898	24,057	2,756	124,991
გასვლა	-	-	-	-	-	(14,850)	-	-	(14,850)
31 დეკემბერი 2019	-	89,537	-	27,378	26,937	64,848	24,057	4,767	237,524
წმინდა საბალანსო ღირებულება									
1 იანვარი 2018	453,113	651,701	145,772	14,279	27,675	75,488	-	6,734	1,374,761
31 დეკემბერი 2018	1,083,855	1,249,877	1,000	22,206	53,724	194,176	-	6,257	2,611,095
31 დეკემბერი 2019	1,083,855	1,432,915	-	113,943	68,639	178,283	96,228	35,268	3,009,131

5. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	
1 იანვარი 2018	18,960
შეძენა	3,390
31 დეკემბერი 2018	22,350
შეძენა	61,934
31 დეკემბერი 2019	84,284
ამორტიზაცია	
1 იანვარი 2018	3,437
ამორტიზაციის ხარჯი	3,792
31 დეკემბერი 2018	7,229
ამორტიზაციის ხარჯი	3,871
31 დეკემბერი 2019	11,099
წმინდა საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი 2018	15,523
31 დეკემბერი 2018	15,121
31 დეკემბერი 2019	73,184

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები შეადგენს გასაყიდად გამიზნულ HVAC სისტემებს.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	3,918,463	3,440,170	2,184,285
გაუფასურების რეზერვი	(1,468,628)	(1,112,651)	(847,991)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	2,449,835	2,327,519	1,336,294
გადახდილი ავანსები	1,751,062	1,615,673	361,192
საგადასახადო აქტივი	374,616	(9,964)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,575,513	3,933,228	1,697,486

მოთხოვნების რეალურ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ არის არსებითი.

მოთხოვნების რეზერვის და ჩამოწერის ხარჯი არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილი.

პერიოდის განმავლობაში გაუფასურების რეზერვის ცვლილება შემდეგნაირია:

1 იანვარი 2018	847,991
გაუფასურების ხარჯი	264,660
31 დეკემბერი 2018	1,112,651
გაუფასურების ხარჯი	355,977
31 დეკემბერი 2019	1,468,628

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული ბანკში ლარში	373,958	279,550	274,909
ფული ბანკში დოლარში	5,374	321,197	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	379,332	600,747	274,909

9. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან და გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელიც კომპანიას დაუგროვდა წლების განმავლობაში. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შემცირდა 2018 წელს 147,254 ლარით, როდესაც კომპანიის დამფუძნებელმა ეტაპობრივად გაიტანა თანხა და კომპანიის საწესდებო კაპიტალი 8,830 ლარი გახდა. 2019 წლის განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალში არ მომხდარა ცვლილება. 2019 წელს კომპანიაში მოხდა 600,788 ლარის დივიდენდის გამოცხადება და გადახდა (2018: 121,052 ლარი).

10. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სს საქართველოს ბანკი	1,242,979	1,303,757	1,283,965
ფიზიკური პირები	573,540	535,320	518,440
სულ გრძელვადიანი სესხები	1,816,519	1,839,077	1,802,405
სს საქართველოს ბანკი	2,402,582	2,096,723	408,107
ფიზიკური პირები	17,592	10,846	17,265
საქართველოს სალიზინგო კომპანია	-	72,212	-
სულ მოკლევადიანი სესხები	2,420,174	2,179,781	425,372
სულ მიღებული სესხები	4,236,693	4,018,858	2,227,777

მიღებული სესხების რეალურ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ არის არსებითი.

მოძრაობა:	2019	2018
1 იანვარი	4,018,858	2,227,777
სესხის აღება	4,519,889	3,933,247
გადახდილი ძირი	(4,476,692)	(2,333,455)
სალიზინგო ვალდებულების ზრდა	-	135,326
სალიზინგო ვალდებულების დაფარვა	(72,212)	(63,114)
გადახდილი პროცენტი	(276,066)	(190,752)
საკურსო სხვაობების ეფექტი	242,732	127,251
საპროცენტო ხარჯი	280,184	182,579
31 დეკემბერი	4,236,693	4,018,858

11. საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-
საიჯარო ვალდებულების აღიარება	120,284
დარიცხული პროცენტი	8,824
საკურსო სხვაობის ეფექტი	8,694
საიჯარო ვალდებულების ძირის გადახდა	(37,045)
საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100,757

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მიღებული ავანსები	1,229,871	856,731	736,618
სავაჭრო ვალდებულებები	496,390	537,791	373,758
თანამშრომელთა ანაზღაურება	49,633	12,687	-
წმინდა საგადასახადო ვალდებულება	-	-	61,443
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,775,894	1,407,209	1,171,819

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების რეალურ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ არის არსებითი.

13. საოპერაციო შემოსავალი

კომპანიის საოპერაციო შემოსავალი 2019 და 2018 წლების შესაბამისად გამოიყურება შემდეგნაირად:

	2019	2018
შემოსავალი დილერებზე რეალიზაციიდან	21,604,685	15,254,638
შემოსავალი საცალო ვაჭრობიდან	7,171,011	5,294,445
შემოსავალი ექსპორტიდან	3,302,777	1,050,086
სულ საოპერაციო შემოსავალი	32,078,473	21,599,169

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2019 და 2018 წლების შესაბამისად გამოიყურება შემდეგნაირად:

	2019	2018
დილერებზე რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16,358,684	11,275,888
საცალო მომხმარებლებზე რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5,065,816	3,732,020
ექსპორტზე რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2,717,639	827,074
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	24,142,139	15,834,982

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
ხელფასის ხარჯი	1,297,055	855,688
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	355,977	264,660
ცვეთა და ამორტიზაცია*	133,360	51,931
მოვლისა და შენახვის ხარჯი	87,186	44,681
მივლინების ხარჯი	31,289	59,956
ბანკის საკომისიო	28,992	39,773
კომუნალური ხარჯი	24,824	16,348
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩამოწერის ხარჯი	10,859	122,161
ქონების გადასახადის ხარჯები	16,559	11,080
IT ხარჯი	2,057	1,839
იჯარის ხარჯი *	-	66,589
სხვა	63,167	71,258
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,051,325	1,605,964

* როგორც შენიშვნა 2.2 -ში არის ნახსენები 2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ მიიღო ფასს 16 და აღიარა აქტივის გამოყენების უფლება, რითაც აიხსნება ცვლილება იჯარის ხარჯში.

16. სხვა შემოსავალი და ხარჯები, წმინდა

აღნიშნული თანხა სხვა ხარჯებთან ერთად მოიცავს 573,920 ლარის შემოსავალს, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ძირითადი მომწოდებლისგან მიღებულ ვალის პატიებას.

17. ფინანსური ხარჯი

	2019	2018
საპროცენტო ხარჯი ბანკის და პიზიკური პირის სესხებზე	280,184	182,579
საპროცენტო ხარჯი ფინანსურ ლიზინგზე	3,300	4,575
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	8,824	-
სულ ფინანსური ხარჯი	292,308	187,154

18. ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა

	2019	2018
რეალიზებული	4,809	88,585
არარეალიზებული	487,227	147,327
სულ ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა	492,036	235,912

19. მოგების გადასახადის ხარჯი

საქართველოში მოქმედი კომპანიების მიერ მიღებული წლიური მოგება გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, მოგების გადასახადით არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში განაწილებულ თანხაზე (1/85%*15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

19. მოგების გადასახადის ხარჯი (გაგრძელება)

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელში დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

კომპანიის მფლობელზე გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით ხდება, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

მიუხედავად იმისა, რომ 2019 და 2018 წლის განმავლობაში განაწილებულია დივიდენდები, კომპანიას არ წარმოეშობა მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება, გამომდინარე იქედან, რომ განხორციელებული აქვს 2008-2016 წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება მოგების განაწილებად ჩაითვალოს (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად აღირიცხება და მათი აღიარება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში ხდება.

20. ფინანსური რისკების მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის განხორციელებისას კომპანიას გააჩნია შემდეგი ფინანსური რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა იმისა, რომ მსესხებელი (დებიტორი) ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი (დავალიანება) ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდობის რისკი: რისკი იმისა, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკები: რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები რეალური ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტურად მართვის მიზნით, კომპანია იყენებს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, ვალუტის და ფასების რისკების მინიმუმამდე შემცირება ყველა სახის ტრანზაქციისათვის;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება კატეგორიების მიხედვით:

20. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 19	31 დეკემბერი 18	1 იანვარი 2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	4,931,490	4,197,887	2,545,477
ფული და ფულის ეკვივალენტები	379,332	600,747	274,909
	5,310,822	4,798,635	2,820,386

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 19	31 დეკემბერი 18	1 იანვარი 2018
სესხები	4,236,693	4,018,858	2,227,777
საიჯარო ვალდებულება	100,756	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,775,895	1,407,209	1,171,819
	6,113,345	5,426,067	3,399,596

საკრედიტო რისკი

კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკს და ცდილობს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ჰქონდეს ურთიერთობა.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში.

	31 დეკემბერი 19	31 დეკემბერი 18	1 იანვარი 2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	4,931,490	4,197,887	2,545,477
ფულადი სახსრები ბანკში	379,332	600,747	274,909
	5,310,822	4,798,635	2,820,386

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია მართავს ლიკვიდობის რისკს, დაფარვის მოსალოდნელი ვადებიდან გამომდინარე.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებები დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით (საკონტრაქტო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები).

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
სესხები	2,420,174	1,776,334	40,185	4,236,693
საიჯარო ვალდებულება	20,180	49,345	31,232	100,756
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,775,895	-	-	1,775,895
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,216,249	1,825,678	71,417	6,113,345

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
სესხები	2,179,781	1,364,919	474,158	4,018,858
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,407,209	-	-	1,407,209
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,586,990	1,364,919	474,158	5,426,067

20. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
სესხები	425,372	800,880	1,001,525	2,227,777
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,171,819	-	-	1,171,819
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,597,191	800,880	1,001,525	3,399,596

ამჟამად კომპანია თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში, ამისთვის კომპანია ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად ეხება საბანკო სესხებს (შენიშვნა 10). ბანკი იტოვებს უფლებას, გაზარდოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, მითითებულ საკრედიტო ხელშეკრულებაში, თუ საბაზრო განაკვეთები გაიზარდება. მენეჯმენტი არ ელოდება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების არსებით ცვლილებას.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვალუტების მიხედვით შემდეგნაირია:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	3,104,583	1,736,084	90,823	4,931,490
ფული და ფულის ეკვივალენტები	373,958	5,374	-	379,332
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,478,541	1,741,458	90,823	5,310,822
სესხები	-	4,236,693	-	4,236,693
საიჯარო ვალდებულება	-	100,756	-	100,756
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,603,417	163,327	9,152	1,775,895
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,603,417	4,500,776	9,152	6,113,345

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	2,513,090	1,604,812	79,985	4,197,887
ფული და ფულის ეკვივალენტები	279,550	321,198	-	600,749
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,792,641	1,926,010	79,985	4,798,636
სესხები	-	3,946,646	72,212	4,018,858
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	976,674	358,018	72,517	1,407,209
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	976,674	4,304,664	144,729	5,426,067

20. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	2,208,732	328,177	8,568	2,545,477
ფული და ფულის ეკვივალენტები	274,909	-	-	274,909
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,483,641	328,177	8,568	2,820,386
სესხები	-	2,227,777	-	2,227,777
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,137,732	34,087	-	1,171,819
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,137,732	2,261,864	-	3,399,596

სენსიტიურობის ანალიზი

ლარის გაცვლითი კურსის 20%-იანი გმაცარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოგებას 551,864 ლარით (2018: 475,731 ლარით).

ლარის გაცვლითი კურსის 20%-იანი გმაცარება/გაუფასურება ევროს მიმართ შეამცირებს/გაზრდის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოგებას 16,334 ლარით (2018: 12,949 ლარით).

21. დაკავშირებული მხარეები

კომპანიას არ გააჩნია ისეთი ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც უნდა იყოს აღნიშნული მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა ხელმძღვანელობის ანაზღაურებისა, რომელიც მოცემულია ქვემოთ:

ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2019	2018
ხელფასი	70,051	45,000

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. მისი მასშტაბებიდან გამომდინარე აღნიშნულმა ვირუსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ფაზრებზე, თუმცა ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის მას მნიშვნელოვანი პირდაპირი უარყოფითი ეფექტი არ ჰქონია კომპანიაზე.

შპს „MAGNIUM+“ მმართველობითი ანგარიშგება 2019 წლის დასრულებული წლისათვის

ორგანიზაციის ბიზნეს განვითარება, ფინანსური მაჩვენებლები და მდგომარეობა

შპს „MAGNIUM+“ არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ცენტრალური კონდიციონერების გათბობით საცალო და საბითუმო ვაჭრობას.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისი დიდოში ანდრონიკაშვილის 4გ

კომპანიას იურიდიულად არ ფლობს ფილიალებს.

კომპანიის მფლობელი 31 დეკემბერი 2018-2019 წლებში არის თამაზ ფიროსმანაშვილი 100%

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენდა 8,822,073 ლარს

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენდა 13,787,530 ლარს

შემოსავალი 2018 წელში 21,599,169 ლარია. შემოსავალი 2019 წელში 32,078,473 ლარი.

კომპანიის სტრატეგია

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, ისევე როგორც ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და ამავედროულად იმის ხაზგასმაც, რომ მომხმარებელს სთავაზობს სანდრო მწარმოებლის მიერ დამზადებულ პროდუქციას, რასაც თან ახლავს უმაღლესი ხარისხის საგარანტიო მომსახურება.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია ბაზარს ამარაგებს უმაღლესი ხარისხის პროდუქციით და ქმნის საქართველოზე ადაპტირებულ მოქნილ სერვისებს. საერთაშორისო გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის გაზიარებით ვქმნით და ვამაღლებთ ხარისხის სტანდარტებს HVAC ბაზარზე. Midea Group-ის ავტორიზებული ოფისი საქართველოში საკუთარ მომხმარებელს სთავაზობს პროდუქციის და სერვისის ოპტიმალურ კომბინაციას.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის ორგანიზაციის სამომავლო გეგმები

კომპანიის სამომავლო გეგმები და ძირითადი მიმართულებებია:

- მომხმარებელთა ლოიალურობის გაზრდა
- ახალი მომხმარებლის მოზიდვა
- საბაზრო წილის ზრდა
- ლიკვიდურობის კოეფიციენტის შენარჩუნება
- ახალი მიმართულებების განვითარება
- ლოჯისტიკური ცენტრის შექმნა
- ტრენინგ აკადემიის გახსნა

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი მოიცავს შემდეგს

	2019	2018
საოპერაციო შემოსავალი	32,078,473.00	21,599,169.00
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(24,142,139.00)	(15,834,982.00)
საერთო მოგება	7,936,334.00	5,764,187.00
სადისტრიბუციო ხარჯები	(103,624.00)	(136,725.00)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,051,325.00)	(1,605,964.00)
სხვა შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	569,204.00	-
ფინანსური ხარჯი	(292,308.00)	(187,154.00)
მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა	(492,036.00)	(235,912.00)
მოგება დაბეგვრდამდე	5,566,245.00	3,598,432.00
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის წმინდა მოგება	5,566,245.00	3,598,432.00

სხვა არსებითი მაჩვენებლები შემდეგია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით კომპანიის პერსონალი შედგებოდა 45 თანამშრომლისგან, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 42 თანამშრომლისგან. სახელფასო ხარჯი 2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 881436 და 1235732 ლარია.

ამონაგები 2019 წელს 2018 წელთნ შედარებით გაზრდილია, რაც გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით.

- გაზრდილია რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა.
- მოძიებულია ახალი საექსპორტო სავაჭრო პარტნიორები.

საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა ,ლარი

აქტივები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	3,009,131	2,611,095
არამატერიალური აქტივები	73,184	15,121
სულ გრძელვადიანი აქტივები	3,082,315	2,626,216
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11,863,714	7,087,949
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,575,513	3,933,228
ფული და ფულის ეკვივალენტები	379,332	600,747
სულ მიმდინარე აქტივები	16,818,559	11,621,924
სულ აქტივები	19,900,874	14,248,140
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	8,830	8,830
გაუნაწილებელი მოგება	13,778,700	8,813,243
სულ კაპიტალი	13,787,530	8,822,073
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	1,816,519	1,839,077
იჯარიდან ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი	80,577	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1,897,096	1,839,077
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	2,420,174	2,179,781
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,775,894	1,407,209
იჯარიდან ვალდებულებების მოკლევადიანი ნაწილი	20,180	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4,216,248	3,586,990
სულ ვალდებულებები	6,113,344	5,426,067
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	19,900,874	14,248,140

ორგანიზაციის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადის რისკი და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკის მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობის გზით. კომპანიის საკმაოდ დიდი წილი მოდის საკრედიტო პირობით გაყიდვაზე. საკრედიტო ვადა მათთვის 30-90 დღემდეა. ზოგიერთ შემთხვევაში ვადა ნთვია. კომპანიას აქვს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების რეზერვირება მეთოდოლოგიის შესაბამისად.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის კომპანია მოელის ყველა ვალდებულების ვადაში დაფარვას. ამისათვის საჭირო საკმარისი ფულის მიღება მოსალოდნელია საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების შემოდინებით.

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოს მიზანი და ფინანსური რისკის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა

- **სავალუტო რისკი** - შესყიდვების ძირითადი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია განხორციელებული, თუმცა გაყიდვების შედარებით მცირე ოდენობა - უცხოურ ვალუტაში. არსებობს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების შემცირების რისკი. მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: კომპანიას არ აქვს შემუშავებული ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის სამართავად, თუმცა ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კარგად არიან ინფორმირებული ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციების შესახებ და დამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბანკო სესხების 100% დენომინირებულია აშშ დოლარში.
- **საკრედიტო რისკი** – არსებობს ალბათობა იმისა, რომ დებიტორი სრულად ან ნაწილობრივ არ დაფარავს დავალიანებას, ან არ დაფარავს მას დროულად. შესაბამისად, ეს კომპანიისთვის წარმოქმნის ზარალს ან სხვა ლიკვიდურობის პრობლემებს. მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: „ბუნებრივი პეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებით.
- **პოლიტიკური რისკი** - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მთავრობისგან მიღებულ დაფინანსებაზე, შესაბამისად, შემოსავალსა და ლიკვიდურობაზე. მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: მენეჯმენტი ყურადღებით აღევნებს თვალყურს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი ცვლილებები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.
- **კოვიდ 19-ის რისკი** - საქმიანობის შეწყვეტამ ან ინფრასტრუქტურის დაკეტვამ, მიწოდების ჯაჭვის რღვევამ, პერსონალის კარანტინში ყოფნამ ბიზნესის ოპერირება შეცვალა, მცირედით შეამცირა მოთხოვნა და დაფინანსების მიღებასთან დაკავშირებით სირთულეები წარმოქმნა. მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: მენეჯმენტი ითვალისწინებს ჯანდაცვის ორგანიზაციების ყველა რეკომენდაციას, რათა უზრუნველყოს ბიზნესის საქმიანობის კოვიდ 19-თან დაკავშირებულ კანონისმიერ მოთხოვნებთან შესაბამისობა და კომპანიის ეფექტური საქმიანობის გაგრძელება.

შპს „MAGNIUM+“ დირექტორი

თამაზ ფიროსმანაშვილი



შპს „MAGNIUM+“მმართველობითი ანგარიშგება 2019 წლის დასრულებული წლისათვის

ორგანიზაციის ბიზნეს განვითარება ,ფინანსური მაჩვენებლები და მდგომარეობა

შპს „MAGNIUM+“ არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ცენტრალური კონდიციონერები გათბობით საცალო და საბითუმო ვაჭრობას.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისი დიდოში ანდრონიკაშვილის 4გ

კომპანიას იურიდიულად არ ფლობს ფილიალებს.

კომპანიის მფლობელი 31 დეკემბერი 2018-2019 წლებში არის თამაზ ფიროსმანაშვილი 100%

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენდა **8,822,073 ლარს**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენდა **13,787,530 ლარს**

შემოსავალი 2018წელში 21,599,169 ლარია. შემოსავალი 2019წელში 32,078,473 ლარი.

კომპანიის სტრატეგია

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, ისევე როგორც ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და ამავდროულად იმის ხაზგასმა, რომ მომხმარებელს სთავაზობს სანდრო მწარმოებლის მიერ დამზადებულ პროდუქციას, რასაც თან ახლავს უმაღლესი ხარისხის საგარანტიო მომსახურება.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია ბაზარს ამარაგებს უმაღლესი ხარისხის პროდუქციით და ქმნის საქართველოზე ადაპტირებულ მოქნილ სერვისებს. საერთაშორისო გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის გაზიარებით ვქმნით და ვამაღლებთ ხარისხის სტანდარტებს HVAC ბაზარზე. Midea Group-ის ავტორიზებული ოფისი საქართველოში საკუთარ მომხმარებელს სთავაზობს პროდუქციის და სერვისის ოპტიმალურ კომბინაციას.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ორგანიზაციის სამომავლო გეგმები

კომპანიის სამომავლო გეგმები და ძირითადი მიმართულებებია:

- მომხმარებელთა ლოიალურობის გაზრდა
- ახალი მომხმარებლის მოზიდვა
- საბაზრო წილის ზრდა
- ლიკვიდურობის კოეფიციენტის შენარჩუნება
- ახალი მიმართულებების განვითარება
- ლოჯისტიკური ცენტრის შექმნა
- ტრენინგ აკადემიის გახსნა

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი მოიცავს შემდეგს

	2019	2018
საოპერაციო შემოსავალი	32,078,473.00	21,599,169.00
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(24,142,139.00)	(15,834,982.00)
საერთო მოგება	7,936,334.00	5,764,187.00
სადისტრიბუციო ხარჯები	(103,624.00)	(136,725.00)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,051,325.00)	(1,605,964.00)
სხვა შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	569,204.00	-
ფინანსური ხარჯი	(292,308.00)	(187,154.00)
მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა	(492,036.00)	(235,912.00)
მოგება დაბეგვრდამდე	5,566,245.00	3,598,432.00
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის წმინდა მოგება	5,566,245.00	3,598,432.00

სხვა არსებითი მაჩვენებლები შემდეგია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით კომპანიის პერსონალი შედგებოდა 45 თანამშრომლისგან, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 42 თანამშრომლისგან. სახელფასო ხარჯი 2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 881436 და 1235732 ლარია.

ამონაგები 2019 წელს 2018 წელთნ შედარებით გაზრდილია, რაც გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით.

- გაზრდილია რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა.
- მოძიებულია ახალი საექსპორტო სავაჭრო პარტნიორები.

საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა ,ლარი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	3,009,131	2,611,095
არამატერიალური აქტივები	73,184	15,121
სულ გრძელვადიანი აქტივები	3,082,315	2,626,216
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11,863,714	7,087,949
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,575,513	3,933,228
ფული და ფულის ეკვივალენტები	379,332	600,747
სულ მიმდინარე აქტივები	16,818,559	11,621,924
სულ აქტივები	19,900,874	14,248,140
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	8,830	8,830
გაუნაწილებელი მოგება	13,778,700	8,813,243
სულ კაპიტალი	13,787,530	8,822,073
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	1,816,519	1,839,077
იჯარიდან ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი	80,577	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1,897,096	1,839,077
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	2,420,174	2,179,781
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,775,894	1,407,209
იჯარიდან ვალდებულებების მოკლევადიანი ნაწილი	20,180	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4,216,248	3,586,990
სულ ვალდებულებები	6,113,344	5,426,067
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	19,900,874	14,248,140

ორგანიზაციის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადის რისკი და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკის მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობის გზით. კომპანიის საკმაოდ დიდი წილი მოდის საკრედიტო პირობით გაყიდვაზე. საკრედიტო ვადა მათთვის 30-90 დღემდეა. ზოგიერთ შემთხვევაში ვადა ნთვია. კომპანიას აქვს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების რეზერვირება მეთოდოლოგიის შესაბამისად.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის კომპანია მოელის ყველა ვალდებულების ვადაში დაფარვას. ამისათვის საჭირო საკმარისი ფულის მიღება მოსალოდნელია საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების შემოდინებით.

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოს მიზანი და ფინანსური რისკის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა

- **სავალუტო რისკი** - შესყიდვების ძირითადი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია განხორციელებული, თუმცა გაყიდვების შედარებით მცირე ოდენობა - უცხოურ ვალუტაში. არსებობს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების შემცირების რისკი. მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: კომპანიას არ აქვს შემუშავებული ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის სამართავად, თუმცა ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კარგად არიან ინფორმირებული ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციების შესახებ და დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბანკო სესხების 100% დენომინირებულია აშშ დოლარში.
- **საკრედიტო რისკი** – არსებობს ალბათობა იმისა, რომ დებიტორი სრულად ან ნაწილობრივ არ დაფარავს დავალიანებას, ან არ დაფარავს მას დროულად. შესაბამისად, ეს კომპანიისთვის წარმოქმნის ზარალს ან სხვა ლიკვიდურობის პრობლემებს. მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებით.
- **პოლიტიკური რისკი** - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მთავრობისგან მიღებულ დაფინანსებაზე, შესაბამისად, შემოსავალსა და ლიკვიდურობაზე. მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალყურს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი ცვლილებები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.
- **კოვიდ 19-ის რისკი** - საქმიანობის შეწყვეტამ ან ინფრასტრუქტურის დაკეტვამ, მიწოდების ჯაჭვის რღვევამ, პერსონალის კარანტინში ყოფნამ ბიზნესის ოპერირება შეცვალა, მცირედით შეამცირა მოთხოვნა და დაფინანსების მიღებასთან დაკავშირებით სირთულეები წარმოქმნა. მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: მენეჯმენტი ითვალისწინებს ჯანდაცვის ორგანიზაციების ყველა რეკომენდაციას, რათა უზრუნველყოს ბიზნესის საქმიანობის კოვიდ 19-თან დაკავშირებულ კანონისმიერ მოთხოვნებთან შესაბამისობა და კომპანიის ეფექტური საქმიანობის გაგრძელება.

შპს „MAGNIUM+“ დირექტორი

თამაზ ფიროსმანაშვილი